ძალაშია 1994 წლის 10 მაისიდან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და რუსეთის ფედერაციის მთავრობა,

ისწრაფვიან რა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სავაჭრო_ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისაკენ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე,

გამომდინარე თითოეული ხელშემკვრელი მხარის სუვერენული უფლებიდან გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო_ეკონომიკური პოლიტიკა, უზრუნველყოს შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულების შესრულება და განცხადებული განზრახვების რეალიზაცია,

განზრახული აქვთ რა ხელი შეუწყონ საქონლის, მომსახურეობის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ერთიანი ბაზრის შექმნას,

სურთ რა ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის საბაჟო კავშირის ფორმირებისათვის სათანადო პირობების შექმნას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. ხელშემკვრელი მხარეები არ იყენებენ საბაჟო გადასახადებს და ანაკრბებს, რომლებიც ერთნაირად მოქმედბენ იმ საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე, რომლის წარმოშობის ადგილია ერთ_ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორია და დანიშნულია მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მისაწოდებლად. საქონლის ნომენკლატურის შესათანხმებლად სავაჭრო რეჟიმის გამოყენების თავისებურება ორივე ქვეყანას შორის ფორმდება ყოველწლიური ოქმებით, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდისათვის ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან წარმოშობილად მიიჩნევა საქონელი:

ა) მთლიანად წარმოებული ხელშემკვორელი მხარის ტერიტორიაზე;

ბ) რომლებიც გადამუშავდა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნებიდან წარმოშობილი ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი ნაკეთობების გამოყენებით და რომლებმაც ამის გამო შეიცვალეს კუთვნილება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ემყარება საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კომბინირებულ სატარიფო_სტატისტიკურ ნომენკლატურას, გამომდინარე პირველი ოთხი ნიშნიდან;

გ) წარმოებული “ბ” პუნკქტში მითითებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების გამოყენებით იმ პირობით, რომ მათი საერთო ღირებულება არ აღემატება რეალიზებული საქონლის ფიქსირებული საექსპორტო ღირებულების წილს.

საქონლის წარმოშობის დაწვრილებითი წესები ხელშემკვრელი მხარეების მიერ გაფორმდება ცალკე დოკუმენტით, რომელიც იქნება წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 2

ხელშემკვრელი მხარეები:

პირდაპირ ან ირიბად არ დაბეგრავენ წინამდებარე შეთანხმებით მოცულ საქონელს ქვეყნის შიდა გადასახადებით ან ანაკრებებით, რომლებიც აღემატება ამ შესაბამის გადასახადებს ან ანაკრებებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან მესამე ქვეყანაში წარმოებული საქონელი;

წინამდებარე შეთანხმებით მოცული საქონლის ექსპორტის და/ან იმპორტის მიმართ არ გამოიყენებენ რაიმე სპეციალურ შეზღუდვებს ან მოთხოვნებს, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში არ იქნება გამოყენებული შიდა წარმოების ანალოგიური საქონლის, ან მესამე ქვეყნებში წარმოებული ანალოგიური საქონლის მიმართ;

არ გამოიყენებენ მეორე ხელშემკვრელ ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის დასაწყობების, გადაზიდვის, შენახვის, აგრეთვე გადახდისა და გადარიცხვის მიმართ სხვაგვარ წესებს, ვიდრე ისეთს, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენება საკუთარი საქონლის, ან მესამე ქვეყნებში წარმოებული საქონლის მიმართ.

მუხლი 3

1. ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში საქონლის ექსპორტის და/ან იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვების ან მათი ექვივლენტური ღონისძიებების გამოყენებისაგან.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ნახსენები რაოდენობრივი შეზღუდვები შეიძლება დადგინდეს ცალმხრივად, გონივრულ ფარგლებში და მკაცრად გასაზღვრული ვადით მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში;

ამ საქონლის მწვავე დეფიციტის დროს შიდა ბაზარზე – ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაციამდე;

საგადასახადო ბალანსის მწვავე დეფიციტის დროს – საგადასახადო ბალანსის სტაბილიზაციამდე;

თუ რომელიმე საქონელი იპორტირებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ისეთი გაზრდილი ოდენობით, ან ისეთ პირობებში, რომლებიც ზიანს აყენებს, ან ემუქრება ზიანს მიყენებით მსგავსი, ან უშუალოდ კონკურირებადი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს;

წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

3. წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში ნახსენები რაოდენობრივი შეზღუდვები შეიძლება ასევე დადგინდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებითაც და შედის ყოველწლიურ ოქმებში, რომელიც მოხსენებულია წინამდებარე შეთანხმების 1-ლ მუხლში.

4. ხელშემკვრელი მხარე, რომელიც გამოიყენებს რაოდენობრივ შეზღუდვებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეორე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით, წარადგენს ამ შეზღუდვების შემოღების მიზეზების, ფორმებისა და გამოყენების შესაძლო ვადების შესახებ აუცილებელ ინფორმაციას.

5. ხელშემკვრელი მხარეები ისწრაფვიან კონსულტაციების მეშვეობით გადაჭრან ყველა საკითხი, რომელიც წარმოშობა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში გადმოცემული რაოდენობრივი შეზღუდვების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4

თითოეული ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს იმ საქონლის რეექსპორტს, რომლის ექსპორტთან დაკავშირებით მეორე ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იწარმოება ეს საქონელი, გამოიყენებს სატარიფო და/ ან არასატარიფო რეგულირების ზომებს.

მხარეები ცვლიან იმ საქონელთა სიებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება სატარიფო არ არასატარიფო რეგულირების ზომები. ასეთი საქონლის რეექსპორტი მესამე ქვეყნებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ნებართვით და იმ პირობით, რომელთაც განსაზღვრავს საქონლის მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო. ამ დებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშემკვრელი მხარე, რომლის ინტერესებიც დარღვეულია, უფლებამოსილია ცალმხრივი წესით შემოიღოს ზომები, რომლებიც დაარეგულირებენ საქონლის გატანას იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომელმაც დაუშვა არასანქცირებული რეექსპორტი. ამასთან ერთად, ამგვარი რეექსპორტიდან მიღებული სავალუტო შემოსავალი ბრუნდება შესაბამისი საქონლის წარმოშობის ქვეყანაში. ხელშემკვრელი მხარეები ყოველწლიურად დამატებით შეათანხმებენ რეექსპორტისათვის ნებადართული პროდუქციის პირობებს, ნომენკლატურასა და მოცულობებს.

ამ მუხლის მიზნებისათვის რეექსპორტად ჩაითვლება ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ ამ უკანასკნელის საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანა მესამე ქვეყანაში ექსპორტის მიზნით.

მუხლი 5

ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულ საფუძველზე გაცვლიან ინფორმაციას საბაჟო, მათ შორის საბაჟო სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებით. ხელშემკვრელი მხარეების უფლებამოსილი ორგანოები შესაბამისი დოკუმენტით გააფორმებენ ამგვარი ინფორმაციის გაცვლის წესს.

მუხლი 6

ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ ზომებს მესამე ქვეყნებთან ვაჭრობისას გამოყენებადი სატარიფო განაკვთების დონის დაახლოებისათვის და ამ მიზნით ჩაატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს.

ხელშემკვრელი მხარეები მიაწოდებენ ერთმანეთს ინფორმაციას მათ ქვეყნებში მოქმედ საბაჟო ტარიფებიდან ყველა გამონაკლისის შესახებ.

მუხლი 7

ხელშემკვრელი მხარეები, მათს ტერიტორაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს შეუწყობენ ყველა დონისა და ფორმის საკუთრების მქონე სამეურნეო სუბიექტების თანასწორი და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, ერთობლივი საწარმოებისა და საერთაშორისო კომპანიების შექმნას, მათ შორის, მესამე ქვეყნების მონაწილეობითაც, მათი პოტენციალის გამოყენების მიზნით ეფექტური საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირებისათვის.

მუხლი 8

ხელშემკვრელი მხარეები წინამდებარე შეთანხმების მიზნებთან შეუთავსებლად მიიჩნევენ არაკეთილსინდისიერ საქმიან პრაქტიკას, რომელიც გამოიხატება, კერძოდ, შემდეგში:

საწარმოთა, მათ გაერთიანებათა შორის ისეთი ხელშეკრულების დადებაში, რომელთა მიზანია ხელი შეუშალოს ან შეზღუდოს კონკურენცია, ან დაარღვიოს მისი პირობები ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიებზე;

ისეთი ქმედების ჩადენაში, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამოდენიმე საწარმო იყენებს რა თავის დომინირებულ მდგომარეობას, ზღუდავს კონკურენციას ხელშემკვრელ მხარეთა მთელს ტერიტორიაზე, ამ მათს მნიშვნელოვან ნიწილზე.

მუხლი 9

ხელშემკვრელი მხარეები არ გამოიყენებიან სახელმწიფო დახმარებას სუბსიდირების სახით ან სხვა ფორმით საწარმოების მიმართ, თუ ასეთი სახელმწიფო დახმარება გამოიწვევს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ნორმალური ეკონომიკური პირობების დარღვევას.

მუხლი 10

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სატარიფო და არასატარიფო რეგულირების განხორციელებისას, სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისას და საბაჟო პროცედურების გატარებისას ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ გამოიყენებენ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი ცხრანიშნა სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც დაფუძნებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონირებულ სისტემაზე. ამასთანავე საკუთარ სახელმწიფოთა საჭიროებისათვის ხელშემკვრელი მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელებენ სასაქონლო ნომენკლატურის გაფართაებას ცხრა ნიშნიანი განზომილების ფორგლებს გარეთაც.

სასაქონლო ნომენკლატურის საეტალონო ეგზემპლარის წარმართვას ახორციელებს რუსეთის ფედერაცია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული წარმომადგენლობის მეშვეობით იქამდე, სანამ საქართველოს

რესპუბლიკა არ განაცხადებს საეტალონო ეგზემპლარის დამოუკიდებლად წარმართვის შესახებ.

მუხლი 11

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტრანზიტის თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობას და მათი შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერირების სისტემაში ჩართვის პროცესის არსებით ელემენტს.

ამასთან დაკავშირებით თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს მეორე ხელშემკვრელი მხარის და/ან მესამე ქვეყნების საბაჟო ტერიტორიაზე წარმოებული და მეორე ხელშემკვრელი მხარის ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიისათვის განკუთვნილი საქონლის შეუზღუდავ ტრანზიტს თავის ტერიტორიაზე, ხოლო ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს აღჭურავს თავის განკარგულებაში არსებული ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი საშუალებებითა და მომსახურეობებით არა უარეს პირობებში, ვიდრე საშუალებებითა და მომსახურეობებით, რომლებიც ეძლევა საკუთარ ექსპორტიორებს და იმპორტიორებს, ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს.

ხელშემკვრელი მხარეები არ მოითხოვენ საქონლის დაწყობის, გადატვირთვის, შენახვისა და გადაზიდვის მომსახურეობის ანაზღაურებას ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ვალუტით.

მუხლი 12

არაფერმა ამ შეთანხმებაში არ უნდა შეუშალოს ხელი რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებთაც ის აუცილებლად ჩათვლის თავისი სასიცოცხლო ინრტერესების დასაცავად და რომლებიც უპირობოდ აუცილებელია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესასრულებლად, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან, თუ ეს ზომები ეხება:

ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული თავდაცვის ინტერესებთან;

იარაღით, ტყვიაწამლით, სამხედრო ტექნიკით ვაჭრობას; გამოკვლევებს ან წარმოებას, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის საჭიროებასთან;

ბირთვულ მრეწველობაში გამოყენებადი მასალებისა და მოწყობილობების მიწოდებას;

საზოგადოებრივი მორალის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრების დაცვას;

ოქროს, ვერცხლს ან ძვირფას ლითონებსა და ქვებს; ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვას.

მუხლი 13

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზით ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას სავაჭრო ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც გაიმართება ერთ-ერთ ქვეყანაში.

მუხლი 14

ეს შეთანხმება არ შეეხება სხვა შეთანხმებათა მოქმედებას, რომლებიც ადრე იქნა დადებული ხელშემკვრელი მხარეების მიერ მესამე ქვეყნებთან.

მუხლი 15

წინამდებარე ხელშეკრულებაში არაფერი ხელს არ შეუშლის ხელშემკვრელი მხარეების მიერ მესამე ქვეყნებთან, აგრეთვე მათ გაერთიანებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების განხორციელებას, რაც არ ეწინააღმდეგება წინამდექარე შეთანხმების მიზნებსა და პირობებს. თუმცა ხელშემკვრელი მხარეები ჩაატარებენ კონსულტაციებს იმ შემთხვევებში, როდესაც ხსენებული ურთიერთობები შეიძლება შეეხოს ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ერთერთი ხელშემკვრელი მხარის ინტერესებს.

მუხლი 16

ამ შეთანხმების დებულებების განმარტებისა და გამოყენების თაობაზე წარმოშობილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 17

წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფის რეკომენდაციების გამომუშავებისათვის ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ დააფუძნონ ერთობლივი რუსეთ-საქართველოს კომისია.

მუხლი 18

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ მასზედ, რომ საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია დააფუძნოს რუსეთის ფედერაციაში თავისი სავაჭრო წარმომადგენლობა, ხოლო რუსეთის ფედერაციას შეუძლია დააფუძნოს საქართველოს რესპუბლიკაში თავისი სავაჭრო წარმომადგენლობა. სავაჭრო წარმომადგენლობის სამართლებრივი სტატუსი, ფუნქციები და ადგილმდებარეობა განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

მუხლი 19

ხელშემკვრელი მხარეების მოწონების შემთხვევაში ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს წინამდებარე შეთანხმებას იმ პირობებზე, რომელიც იქნება შეთანხმებული ხელშემკვრელ მხარეებსა და მას შორის.

მუხლი 20

წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილად ითვლება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებების შესახებ ოქმი, რომელზედაც მხარეები ვალდებულებას იღებენ ხელი მოაწერონ 1994 წლის 15 მარტამდე.

მუხლი 21

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეივსოს ან შეიცვალოს ხელშემკვრელ მხარეთა შორის წინასწარი მოლაპარაკების შედეგად. მითითებული ცვლილებები და შევსებები შესრულებულ უნდა იქნას წერილობითი ფორმით.

მუხლი 22

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელი მხარეების მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ შეტყობინებების გაცვლის დღიდან და ძალაში დარჩება თორმეტი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე გაუგზავნის მეორე ხელშემკვრელ მხარეს წერილოქით შეტყობინებას მისი მოქმედების შეწყვეტის განზრახვით.

შესრულებულია თბილისში 1994 წლის 3 თებერვალს ორ ორიგინალად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით	რუსეთის ფედერაციის მთავრობის სახელით